*<u>პროექტი</u>*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2022 წელი

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუღურეთის ხიდისთვის მწერლის გურამ დოჩანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ჩუღურეთის ხიდს მიენიჭოს მწერლის გურამ დოჩანაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=483731 Y=4616759
X=483666 Y=4616665
1:1,500

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

**ადრესატი:**

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032205221**
თარიღი: **21/02/2022**

უახლოეს სხდომაზე განხილვის მიზნით, გთხოვთ უზრუნველყოთ:

1. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუღურეთის ხიდისთვის გურამ დოჩანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტისა და შესაბამისი მასალების მომზადება.
2. ხიდის სიტუაციური ნახაზის გამოთხოვა მერიის შესაბამისი სამსახურიდან.
3. გურამ დოჩანაშვილის ბიოგრაფიული მონაცემების დამუშავება
4. საკითხის დღის წესრიგში შეტანა.
5. იმ პირთა წრის განსაზღვრა, ვინც მოწვეული უნდა იყოს საჯარო განხილვაზე.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0322055103**
თარიღი: **24/02/2022**
პინი: **1662**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ინიციატივას ჩუღურეთის რაიონში, ჩუღურეთის ხიდისთვის გურამ დოჩანაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ ზემოაღნიშნული ხიდის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო


წერილის ნომერი: **16-01220631923**
თარიღი: **04/03/2022**
პინი: **7554**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**


სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 24.02.2022 წლის #03-0322055103 (24.02.2022წ. #14-01220553061-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

## გურამ დოჩანაშვილი

**(1939-2021)**

**ქართველი კლასიკოსი მწერალი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი,თბილისის საპატიო მოქალაქე , დაჯილდოებულია ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიით ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ლიტერატურული პრემიით „საბა“.**

გურამ დოჩანაშვილის მამა, პეტრე დოჩანაშვილი, ექიმი იყო. დედა, გულნარა ემხვარი, აკაკი წერეთლის დის შვილთაშვილი იყო. ბავშვობაში გურამ დოჩანაშვილი თბილისის სხვადასხვა უბანში იზრდებოდა, რაც მომავალში მისი ცოცხალი ფანტაზიის წყარო გახდა. სკოლაში სწავლასთან ერთად, სამუსიკო სასწავლებელში ვიოლინოზე დაკვრას ეუფლებოდა. ახალგაზრდობაში შეუერთდა არალეგალურ პატრიოტულ ორგანიზაცია — „გორგასლიანს“. 17 წლის ასაკში, სკოლის მეგობრებთან ერთად, დააკავეს ანტისაბჭოური პროპაგანდის ბრალდებით და სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მოგვიანებით განაჩენი პირობითი სასჯელით შეეცვალა. 1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, რის შემდეგაც ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი გახდა. ინსტიტუტში მუშაობისას მან მონაწილეობა მიიღო ათობით არქეოლოგიურ ექსპედიციაში.

გურამ დოჩანაშვილის პირველი წიგნი, მოთხრობების კრებული „მთის გადაღმა“ 1966 წელს გამოიცა.

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების მთავარი თემებია სიყვარული, სიკეთე, შეუპოვარი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და თავისუფლებისკენ სწრაფვა. მისი შემოქმედება თარგმნილია მრავალ ენაზე და საფუძვლად დაედო ცნობილ კინოფილმებსა და ტელესპექტაკლებს.

მისი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოების „სამოსელი პირველის“ გამოცემიდან ექვსი წლის შემდეგ დოჩანაშვილმა ნოველა „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“.

1989 წელს რეჟისორმა ნინო ახვლედიანმა გადაიღო ფილმი „ბესამე“, რომლის სცენარის ავტორი თავად დოჩანაშვილი იყო. მისი მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ შესულია სასკოლო პროგრამაში.

გურამ დოჩანაშვილი იყო თბილისის საპატიო მოქალაქე , დაჯილდოებულია ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიით რომანისათვის „ბრმადყოფილზე. და...“ (ასევე, მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის) და ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ლიტერატურული პრემიით „საბა“.